**№232 2009 წლის 15 დეკემბერი ქ. თბილისი**

# ფინანსური ინსტიტუტებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლის $1^3$ ნაწილის საფუძველზე დამტკიცდეს:

ა) ფინანსური ინსტიტუტებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ პირთა ნუსხა;

ბ) სახელმწიფო საწარმოთა ნუსხა.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2009 წლის 21 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2009 წლის 15 დეკემბრის
№ 232 დადგენილებით

# ფინანსური ინსტიტუტებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ პირთა ნუსხა

ფინანსურ ინსტიტუტებს დასაბეგრი ქონების ღირებულების განსაზღვრის მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა–დ“ ქვეპუნქტების მიხედვით გათვალისწინებული აფასების ვალდებულება არ წარმოეშობათ, თუ ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებას აღრიცხავენ გადაფასების მეთოდის გამოყენებით და გააჩნიათ ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი პირის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება:

ა) ფრაისვოთერჰაუსკუპერს (PricewaterhouseCoopers);

ბ) დელოიტი (Deloitte);

გ) ქეი-ფი-ემ-ჯი (KPMG);

დ) ერნსტ ენდ იანგი (Ernst & Young);

ე) გრანთ თორნთონ (Grant Thornton);

ვ) ბიდიო (BDO Stoy Hayward);

ზ) ბეიკერ ტილი (Baker Tilly);

თ) სმით ენდ ვილიამსონი (Smith & Williamson);

ი) ტენონი (Tenon Group);

კ) პი-ქეი-ეფ (PKF).

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2009 წლის დეკემბრის
№ დადგენილებით

## სახელმწიფო საწარმოთა ნუსხა

დასაბეგრი ქონების ღირებულების განსაზღვრის მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა–დ“ ქვეპუნქტების მიხედვით გათვალისწინებული აფასების ვალდებულება არ წარმოეშობათ შემდეგ სახელმწიფო საწარმოებს:

ა) შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“;
ბ) შპს „ენგურჰესს“;
გ) სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა „საქრუსენერგოს“;
დ) შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“.